ფულის გლობალური კვირეული 2026

გაკვეთილი V-VI კლასებისთვის

შინაარსი

ნაწილი 1: ინტერაქტიული ლექცია (15 წთ) 1

ნაწილი 2: თამაში - ფინანსური ტერმინების ბინგო - ინსტრუქცია (30 წთ) 4

ნაწილი 1: ინტერაქტიული ლექცია (15 წთ)

მასალა: *PPT: V-VI კლასი_გაკვეთილის პრეზენტაცია*

მომზადება:

წინასწარ გადმოწერეთ პრეზენტაცია (PPT: VII-XII კლასი_გაკვეთილის პრეზენტაცია) და გამართეთ პროექტორი, რათა შეძლოთ სლაიდების გაშვება. თუ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ არის, შეგიძლიათ უბრალოდ ისაუბროთ და მნიშვნელოვანი საკითხები დაფაზე დაუწეროთ მოსწავლეებს.

საკითხების ახსნისას ეცადეთ, ჯერ მოისმინოთ რამდენიმე მოსწავლის აზრი, შემდეგ კი თქვენც მიაწოდოთ ინფორმაცია.

ქვემოთ მოცემულია სასაუბრო ტექსტი სლაიდების მიხედვით. ტექსტი შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი შეხედულებისამებრ, თქვენი მოსწავლეების მზაობის შესაბამისად

სლაიდი 1:

გამარჯობა, დღეს განსხვავებული გაკვეთილი გვექნება - ფულზე ვისაუბრებთ. შემდეგ კი, ერთ თამაშს ვითამაშებთ და ერთად გავიხსენებთ და ვისწავლით ფინანსურ ტერმინებს. მზად ხართ?

სლაიდი 2:

სანამ დავიწყებთ, გთხოვთ ხელის აწევით მიპასუხოთ:

- *ვის სურს ჰქონდეს ფულის მართვის სუპერძალა? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*
- *ვინ სურს გახდეს ფინანსური თაღლითობის „დეტექტივი“? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*

მშვენიერია! ეს სწორედ ის საკითხებია, რაზეც დღეს ვისაუბრებთ.

სლაიდი 3:

როცა ფულზე ვსაუბრობთ, ვსწავლობთ, როგორ ვმართოთ ფული ჭკვიანურად, ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას და თავს ვიცავთ შეცდომებისგან. ფულზე საუბარი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფულის გლობალური კვირეულიც კი არსებობს. ჩვენ ახლა ზუსტად ამ კვირეულს აღვნიშნავთ და მისი დევიზია „ისაუბრე ფულზე.“

სლაიდი 4:

ფულზე საუბარი აუცილებელია, რადგან ის ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. შეიძლება ფული გაჩუქონ, ან თქვენ თვითონ გამოიმუშავოთ, ან პრიზად მიიღოთ, ან მშობლებმა მოგცეთ ჯიბის ფული. და თქვენც იღებთ ფინანსურ გადაწყვეტილებებს, როდესაც ფიქრობთ: ჩემი ფული სულ დავხარჯო თუ შევინახო? ეს ვიყიდო თუ ის? ფულის სწორად მართვაში, პირველ რიგში, ეს კითხვა დაგეხმარებათ: **მინდა თუ მჭირდება?**

სლაიდი 5:

ყველა იმ ნივთს, რაც გვინდა გვქონდეს, მაგრამ აუცილებელი არ არის, ჩვენს **სურვილებს** ვუწოდებთ, მაგალითად, შოკოლადი, პიცა, თამაშები - ეს სურვილებია. ის ნივთები კი რომლის გარეშეც გაგვიჭირდება არსებობა - **საჭიროებაა**. მაგალითად, ჯანსაღი საკვები, წიგნები, ტანისამოსი - ეს ყველაფერი საჭიროებაა.

- *თქვენი აზრით, რა არის ჭკვიანური ხარჯვა? როდესაც უფრო მეტს ვხარჯავთ საჭიროებაზე თუ სურვილზე? (მოსწავლეები პასუხობენ).*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

სწორია, გონივრულია თუ ჩვენი ფულის დიდ ნაწილს საჭიროებაზე დავხარჯავთ, თუმცა არც სურვილებს დავივიწყებთ.

სლაიდი 6:

მეორე მნიშნელოვანი საკითხი არის ფულის **დაზოგვა**, ანუ მისი შენახვა, დაგროვება სამომავლოდ. ანუ ჩვენი ფული ასე უნდა გავანაწილოთ: დიდი ნაწილი დავხარჯოთ საჭიროებებზე, ნაწილი სურვილებზე და ნაწილი შევინახოთ.

- *რაში შეიძლება დაგეხმაროთ დანაზოგი? (მოსწავლეები პასუხობენ).*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 1-2 პასუხი და გააგრძელეთ.

დაზოგვა გვეხმარება იმაში, რომ მივაღწიოთ ჩვენს **ფინანსურ მიზნებს** - ავიხდინოთ პატარა სურვილები, ან დიდი ოცნებები, მოვემზადოთ მომავლისთვის. დანაზოგი ასევე არის ჩვენი ფინანსური დაცულობაც, რადგან გვეხმარება მომზადებული შევხვდეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს. მაგალითად, თქვენი საყვარელი გმირის გამოსახულებიანი მაისური გამოვიდა? თუ გაქვთ დანაზოგი, შეძლებთ თქვენ თვითონ იყიდოთ. ან მაგალითად, მოულოდნელად გაგიფუჭდათ ტელეფონი? თუ გაქვთ დანაზოგი, შეძლებთ გადაიხადოთ მისი შეკეთების ფული.

- *კარგი, ახლა გვაქვს დაზოგილი ფული. სად შეიძლება შევინახოთ? სახლში - საფულეში? ბალიშის ქვეშ? წიგნებში? თუ სად? ბანკში? (მოსწავლეებიც პასუხობენ)*

სლაიდი 7:

- *თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ჯობდეს დანაზოგის ბანკში შენახვა? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

დანაზოგი შეიძლება სახლში, ყულაბაშიც შევინახოთ, რადგან ყველასთვის მოსახერხებელია და მარტივია მისი გაკეთება. მაგრამ ეს ფული შეიძლება მოგვპარონ, დაგვეკარგოს, ან ჩვენ თვითონვე დავხარჯოთ. **ბანკში** ჩვენს ფულს უფრო უსაფრთხოდ შეინახავენ. თან როცა ბანკში ფული **დეპოზიტზე,** ანუ ანაბარზე გვაქვს შენახული, ბანკი მასზე დამატებით ფულსაც გვიხდის. მაგრამ ბანკი მხოლოდ ფულის შენახვის ადგილი არაა.

- *კიდევ რა მომსახურებებს გვთავაზობს ბანკი? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 2-3 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 8:

დიახ, ბანკი დამატებით სხვა ფინანსურ ანუ ფულთან დაკავშირებულ მომსახურებებსაც გვთავაზობს, მოსწავლეებს შეგიძლიათ მშობლების თანხმობით გახსნათ საბანკო ბარათი, რომელსაც თქვენი ფულის განკარგვისთვის გამოიყენებთ, დეპოზიტი ან ელექტრონული ყულაბა - სადაც ფულს დააგროვებთ, მობილბანკი - რომლითაც თქვენს ფულს ონლაინ გააკონტროლებთ.

მაგრამ, სანამ რომელიმე ბანკის მომსახურებას შეარჩევდეთ, მნიშვნელოვანია ყველგან მოიკითხოთ პირობები და ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება.

- *კარგი, ახლა კიდევ ერთი კითხვა: იცით, ვინ აკონტროლებს ბანკებს და ვინ ზრუნავს, რომ თქვენი ფული ბანკში დაცული იყოს? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 9:

სწორი პასუხია საქართველოს ეროვნული ბანკი. ის ქვეყნის მთავარი ბანკია, რომელიც სხვა ბანკებს „მსაჯობს“, რადგან როგორც სპორტში „მსაჯი“, ისე უყურებს რამდენად იცავენ თამაშის წესებს სხვა ბანკები და რამდენად გამართულად მუშაობენ.

ეროვნული ბანკი ზრუნავს ფასების სტაბილურობაზე. ეს ნიშნავს, რომ ფასები არ იცვლებოდეს ძალიან ხშირად და ძალიან: მაგალითად, რაღაც დღეს ღირდეს 2 ლარი, ხვალ 20, ზეგ 3 და ასე შემდეგ.

ეროვნული ბანკი ასევე ბავშვებსა და დიდებსაც ესაუბრება ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამისთვის მან შექმნა ფინანსური განათლების პლატფორმა - ფინედუ. გაიხსენეთ, რა გითხარით დასაწყისში - დღეს სწორედ ფინედუს წარმოვადგენ.

ეროვნული ბანკი ის ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც უშვებს საქართველოს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

სლაიდი 10:

ფულის სწორად მართვას რომ დავუბრუნდეთ, მესამე და მნიშვნელოვანი რამ აქ - ფინანსური უსაფრთხოებაა. ჩვენ ვყიდულობთ ბარათით ონლაინ, ვაკეთებთ გადარიცხვებს მობილბანკით, მაგრამ სამწუხაროდ, სადაც ფულია, იქ თაღლითებიც არიან, ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისგან. პირველი წესი თაღლითებისგან დასაცავად არის ის, რომ არავის გაუზიაროთ თქვენს ბარათზე მოცემული ინფორმაცია! ასევე პაროლები და პინ-კოდები.

- *იცით, რა ინფორმაცია არის გამოსახული ბარათზე? (მოსწავლეები პასუხობენ)*

შენიშვნა: მიიღეთ მხოლოდ 1-2 პასუხი და გააგრძელეთ.

სლაიდი 11:

ბარათზე მოცემულია ინფორმაცია: ბარათის 16-ნიშნა ნომერი, მფლობელის სახელი და გვარი, ბარათის მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა და თაღლითის ხელში რომ მოხვდეს, შეეძლება თქვენი ბარათიდან ფული მოიპაროს. ეს იგივეა, სახლის გასაღები ან ფულით სავსე საფულე რომ მისცეთ სხვას. ამიტომ ბარათი უყურადღებოდ არ უნდა დატოვოთ.

სლაიდი 12:

მაგრამ კიდევ ერთი გზა, რომ თაღლითმა თქვენი ბარათის მონაცემები მოიპაროს, არის ინტერნეტთაღლითობა, ანუ ფიშინგი. ფიშინგი არის სატყუარა, სადაც თაღლითი ცდილობს მოტყუებით შეგვაყვანინოს ბარათის მონაცემები გაყალბებულ ვებგვერდზე, რომელიც ნამდვილი გვგონია. ამიტომ, ფინანსური უსაფრთხოების მეორე მნიშვნელოვანი წესი არის: არ ენდოთ ყველა შემოთავაზებას ინტერნეტში და ყოველთვის გადაამოწმეთ ინფორმაცია.

მოდი ახლა მე წაგიკითხავთ რეალურ სიტუაციებს, თქვენ კი ხელის აწევით მანიშნეთ, შეიძლება თუ არა უთხრათ სხვას.

სლაიდი 13:

- *შეიძლება მეგობარს უთხრა, რომელი თამაში გიყვარს? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

შენიშვნა: 14-17 სლაიდებზე თითოეულ ქეისზე შემოიფარგლეთ მხოლოდ ცერის ჩვენებით არ გააკეთებინოთ კომენტარები.

დიახ, შეიძლება.

სლაიდი 14:

- *შეიძლება ვინმეს უთხრა შენი საბანკო ბარათის ნომერი? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

არ შეიძლება, რადგან ბარათის ნომერი თქვენი „ფულის გასაღებია“

სლაიდი 15:

- *შეიძლება ვინმეს უთხრა შენი მობილბანკის პაროლი? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

არ შეიძლება, რადგან მობილბანკის პაროლი თქვენი „ფულის გასაღებია“

სლაიდი 16:

- *შეიძლება მშობლებს უთხრა, როცა ვინმე ინტერნეტში ფულის ჩარიცხვას გთხოვთ? (მოსწავლეები ანიშნებენ ხელით)*

დიახ შეიძლება და აუცილებელიცაა!

დიდი მადლობა ყველას მონაწილეობისთვის. მოდი ახლა, თამაში ვითამაშოთ და ფინანსური ტერმინებიც ნელნელა ვისწავლოთ, რაც ვისწავლეთ კი - ისინი გავიმეოროთ.

- *მზად ხართ? (მოსწავლეები პასუხობენ და გადავდივართ მეორე ნაწილზე)*

ნაწილი 2: თამაში - ფინანსური ტერმინების ბინგო - ინსტრუქცია (30 წთ)

მასალა: *PDF: ბინგო - ფინანსური ტერმინები (ამობეჭდილი); 4 კალამი და 4 ფურცელი გუნდებისთვის, ტელეფონი - წამზომის დასანიშნად.*

მომზადება:

- წინასწარ ამობეჭდეთ ბინგოს დაფები გუნდებისთვის და მასწავლებლის ფურცლები თქვენთვის.
- კლასი გაყავით 4 გუნდად. თითო გუნდს ჰქონდეს თითო კალამი და ფურცელი.
- თითო გუნდიდან გამოიყვანეთ თითო მოსწავლე და სთხოვეთ 4 ბინგოს დაფიდან 1-1 აიღონ.

თამაშის მიზანი

გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს ფინანსური ტერმინების სწორად გამოცნობაში და ბინგოს დაფის სწრაფად შევსებაში. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი ტერმინი ექნება სწორად შევსებული და ამავე დროს, უფრო ადრე დაიძახებს „ბინგო“-ს.

სასაუბრო ტექსტი:

➢ *გითამაშიათ ოდესმე ბინგო? (მოსწავლეები პასუხობენ)*

თუ კი, ძალიან კარგი, თუ არა - არაუშავს, ახლავე ყველაფერს აგიხსნით. ამ ბინგოს პრინციპი არის ის, რომ მე დავსვამ კითხვებს, გუნდებმა კი სწრაფად უნდა იპოვოთ პასუხები, ანუ ამ კითხვის შესაბამისი ფინანსური ტერმინი ბინგოს დაფაზე და მონიშნოთ. **რომელი გუნდიც პირველი შეავსებთ დაფას, ანუ მონიშნავთ ექვსივე ტერმინს, ხმამაღლა უნდა დაიძახოთ „ბინგო“!**

სანამ დავიწყებთ, შეათვალიერეთ თქვენს დაფაზე მოცემული ტერმინები. გაითვალისწინეთ, რომ დაფებზე მოცემული ზოგიერთი ტერმინი ყველა გუნდისთვის ერთნაირია, ზოგიერთი კი - განსხვავებული. შესაბამისად, **როდესაც კითხვას დავსვამ, შესაძლოა რომელიმე გუნდის დაფაზე საერთოდ არ იყოს ამ კითხვის შესატყვისი ტერმინი,** ამიტომ, ამ თამაშში, **ცოდნასთან ერთად, იღბალიც ასრულებს გარკვეულ როლს.**

ყურადღება! ახლა მე დავიწყებ კითხვების დასმას, თქვენ კი ჩუმად მოინიშნეთ თქვენს დაფაზე ის ტერმინი, რომელიც თქვენი აზრით შეკითხვის სწორი პასუხია. ამისთვის 15 წამი გექნებათ. **ოღონდ, პასუხი ხმამაღლა არ წამოიძახოთ!** ამ ეტაპზე მხოლოდ ვინიშნავთ, ბოლოს კი ყველა ტერმინს და განმარტებას წავიკითხავთ, რათა დავრწმუნდეთ, სწორად შეავსეთ თუ არა. ასე რომ, შეგიძლიათ ამ ტერმინის შესაბამისი კითხვაც თქვენი სიტყვებით, ჩაინიშნოთ ფურცელზე, ან ბინგოს დაფაზევე მიაწეროთ, ან უბრალოდ დაიმახსოვროთ.

➢ *ყველას გახსოვთ წესები? მოკლედ გავიმეოროთ:*

- მე ვსვამ კითხვას.
- გუნდი თანხმდებით და 15 წამის განმავლობაში ნიშნავთ დაფაზე ტერმინს
- არ ამბობთ პასუხს ხმამაღლა!
- იმახსოვრებთ ან ინიშნავთ განმარტებასაც.
- როცა ექვსივე ტერმინს მონიშნავთ, ხმამაღლა დაიძახებთ „ბინგო!“

ვიწყებთ!

თამაშის მსვლელობა:

- სწრაფად წაიკითხეთ კითხვები, ხოლო მას შემდეგ, რაც პირველი გუნდი დაიძახებს ბინგოს, შეაჩერეთ კითხვების დასმა და დაუკარით ტაში. პირველ გუნდს ეუბნებით, რომ მართალია, მათ პირველებმა შეავსეს დაფა, მაგრამ არ ვიცით, რამდენად სწორია, ამიტომ დანარჩენს გუნდებსაც ველოდებით.
- დასვით დარჩენილი კითხვებიც და მოინიშნეთ მეორე, მესამე და მეოთხე გუნდებიც იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც იტყვიან ბინგოს. (ეს საჭირო გახდება გამარჯვებულის გადასათამაშებლად იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ პირველ გუნდს არასწორად ექნება მონიშნული რომელიმე ტერმინი).
- ამის შემდეგ, კი სთხოვეთ პირველი გუნდის წევრებს, **სათითაოდ წაიკითხონ მათ დაფაზე მოცემული ტერმინები და საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ კითხვა (განმარტება), რომელსაც ეს ტერმინი შეუსაბამეს.** დანარჩენ გუნდებს კი სთხოვეთ, ყურადღებით მოუსმინონ გუნდს და თავიანთ დაფაზე მოინიშნონ ის ტერმინები, რაც უკვე პირველმა გუნდმა თქვა, ხოლო რა ტერმინებიც განსხვავებული იქნება, ისინი უკვე დანარჩენმა გუნდებმა უნდა განმარტონ რიგრიგობით. გუნდები ერთმანეთს უსმენენ და თუ თვლიან, რომ ტერმინს არ შეესაბამება განმარტება, თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან სწორი პასუხი. თქვენ პარალელურად მასწავლებლის ფურცელზე გამოსახულ დაფებზე მოინიშნავთ, რომელმა გუნდმა რომელი ტერმინი თქვა სწორად.
- დასასრულს, გამარჯვებულად ვაცხადებთ იმ გუნდს, რომელმაც პირველმა და სწორად შეავსო ყველა პასუხი (ან რომელსაც ყველაზე მეტი სწორი პასუხი ექნება).

[თამაშის ლოგიკა: *4 დაფაზე ჯამურად მოცემულია 15 განსხვავებული ტერმინი, აქედან, ყველა დაფისთვის ერთნაირია 3 ტერმინი, ხოლო დანარჩენი 12 ტერმინი განსხვავებულია და გადანაწილებულია ოთხივე დაფაზე.*

კითხვები მოცემულია იმგვარი თანმიმდევრობით, რომ მეტნაკლებად დაბალანსებული იყოს შემთხვევითობა: რიგრიგობით ამოდის განსხვავებული ტერმინები თითოეული დაფისთვის და ერთნაირი ტერმინები: იხილეთ ცხრილი].

დაფა N1	**დაფა N2**	**დაფა N3**	**დაფა N4**
1. ლარი	2. ფული	3. თეთრი	4. ბანკი
5. მობილბანკი	5. მობილბანკი	5. მობილბანკი	5. მობილბანკი
6. ბარათი	6. ბარათი	6. ბარათი	6. ბარათი
8. სურვილი	10. ხარჯი	7. საჭიროება	9. დაზოგვა
11. ფიშინგი	11. ფიშინგი	11. ფიშინგი	11. ფიშინგი
14. სესხი	13. შემოსავალი	12. ეროვნული ბანკი	15. დეპოზიტი

კითხვები და პასუხები:

1. საქართველოს ეროვნული ვალუტა. **ლარი**
2. აქვს ყველა ქვეყანას და გამოიყენება ნივთების საყიდლად, არსებობს ქაღალდის ანუ ბანკნოტების და ლითონის ანუ მონეტების, ასევე, ელექტრონული სახით. **ფული**
3. ქართული მონეტების, ანუ ხურდა ფულის სახელი. **თეთრი**
4. ორგანიზაცია, სადაც მოსახლეობის ერთი ნაწილი დანაზოგს ინახავს, მეორე კი - სესხს იღებს. **ბანკი**
5. აპლიკაცია, რომელიც გვეხმარება ჩვენი საბანკო ანგარიშები მობილური ტელეფონიდან ვმართოთ. **მობილბანკი**
6. არსებობს პლასტიკური ან ვირტუალური სახით. მისი საშუალებით ვიხდით მაღაზიაში, ვანაღდებთ ბანკომატიდან. **საგადახდო ბარათი**

7. ყველაფერი, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობებისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, მაგალითად, საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი და ა.შ., ჩვენთვის არის: **საჭიროება**
8. ყველაფერი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ გვინდა და სიხარულს გვანიჭებს, მაგალითად, ვიდეოთამაშები, სასუსნავი, ძვირადღირებული ტანსაცმელი და ა.შ., არის ჩვენი: **სურვილი**
9. ფულის გადადება, შენახვა, შეგროვება სამომავლოდ, რაიმე მიზნებისთვის. **დაზოგვა**
10. ჩვენი საჭიროებებისა და სურვილებისთვის დახარჯული ფული. **ხარჯი**
11. ინტერნეტთაღლითობა, როდესაც თაღლითი ცდილობს გადაგვიყვანოს გაყალბებულ ვებგვერდზე და მოტყუებით გაგვამჟღავნებინოს ჩვენი პერსონალური მონაცემები - **ფიშინგი.**
12. ბანკების ზედამხედველი, ერთადერთი ბანკი, რომელიც ქართულ ფულს უშვებს. **ეროვნული ბანკი**
13. ეს სიტყვა აღნიშნავს ხელფასის, ბინის გაქირავების, საჩუქრის და ა.შ. სახით მიღებულ ფულს. **შემოსავალი**
14. ფული, რომელსაც ვალის სახით ვიღებთ, და რომელიც უკან უნდა დავაბრუნოთ წინასწარ შეთანხმებული პირობებით. **სესხი**
15. ფული, რომელსაც დანაზოგის სახით ბანკში ვინახავთ. **დეპოზიტი**

სასაუბრო ტექსტი
(შეჯამება):

ყოჩაღ, ყველა გუნდი ძალიან კარგი იყო! გამარჯვებული ერთი გუნდი გვყავს, თუმცა ვფიქრობ, ფინანსური ტერმინები უკვე ყველამ იცით.
ასევე იცით, რა გაძლევთ ფულის მართვის სუპერ ძალას! იცით, რომ ფულზე საუბარი მნიშვნელოვანია, უნდა განასხვავოთ მინდა და მჭირდება, და რაც მთავარია, დაიცვათ თქვენი ფული! გახსოვდეთ, ხშირად, რაც ზედმეტად კარგია - თაღლითობაა!

- *ხელი ასწიეთ, ვინ არის მზად, ამ ყველაფერზე ესაუბროს ოჯახის წევრებსაც? (მოსწავლეები სწევენ ხელს)*